

შპს „კედია 10“ (ს/კ 405074672)

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები  
მცირე და საშუალო საწარმოებისათვის (IFRS for SMEs)

ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერი

## სარჩევი

ფინანსური ანგარიშგება

საქმიანობის შედეგები

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები



*მ. კახიძე*

**ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება**  
 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

| (ლარი)                                | შენიშვნა | 2020              | 2019              | 2018             |
|---------------------------------------|----------|-------------------|-------------------|------------------|
| <b>აქტივები</b>                       |          |                   |                   |                  |
| <b>გრძელვადიანი აქტივები</b>          |          |                   |                   |                  |
| ძირითადი საშუალებები                  | 1        | 9 595             | 9 595             | 7 153            |
| არამატერიალური აქტივები               | 2        | -                 | -                 | -                |
| <b>სულ გრძელვადიანი აქტივები</b>      |          | <b>9 595</b>      | <b>9 595</b>      | <b>7 153</b>     |
| <b>მიმდინარე აქტივები</b>             |          |                   |                   |                  |
| მარაგები                              | 3        | 6 280 690         | 5 102 549         | 3 711 944        |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები            | 4        | 3 102 345         | 3 186 462         | 3 151 679        |
| ფული და ფულის ეკვივალენტები           | 5        | 613 312           | 1 323 445         | 64 294           |
| საგადასახადო აქტივი                   | 6        | 143 968           | 414 734           | 237 881          |
| <b>სულ მიმდინარე აქტივები</b>         |          | <b>10 140 315</b> | <b>10 027 190</b> | <b>7 165 798</b> |
| <b>სულ აქტივები</b>                   |          | <b>10 149 910</b> | <b>10 036 785</b> | <b>7 172 951</b> |
| <b>კაპიტალი და ვალდებულებები</b>      |          |                   |                   |                  |
| საწესდებო კაპიტალი                    | 7        | 1 007 451         | 1 333 764         | 1 318 514        |
| გაუნაწილებელი მოგება                  | 8        | (1 396 164)       | (992 299)         | (920 870)        |
| <b>სულ კაპიტალი</b>                   |          | <b>(388 713)</b>  | <b>341 465</b>    | <b>397 644</b>   |
| <b>მიმდინარე ვალდებულებები</b>        |          |                   |                   |                  |
| საგადასახადო ვალდებულებები            |          |                   |                   |                  |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები         | 9        | 7 460 533         | 5 596 084         | 3 036 585        |
| <b>სულ მიმდინარე ვალდებულებები</b>    |          | <b>7 460 533</b>  | <b>5 596 084</b>  | <b>3 036 585</b> |
| <b>გრძელვადიანი ვალდებულებები</b>     |          |                   |                   |                  |
| გრძელვადიანი სესხები                  | 10       | 3 078 090         | 4 099 236         | 3 738 722        |
| <b>სულ გრძელვადიანი ვალდებულებები</b> |          | <b>3 078 090</b>  | <b>4 099 236</b>  | <b>3 738 722</b> |
| <b>სულ ვალდებულებები და კაპიტალი</b>  |          | <b>10 149 910</b> | <b>10 036 785</b> | <b>7 172 951</b> |

**მოგება-ზარალი დასხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება**  
 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

| (ლარი)                                   | შენიშვნა | 2020             | 2019            |
|------------------------------------------|----------|------------------|-----------------|
| შემოსავლები                              | 11       | 592 283          | 1 337 304       |
| სხვა არასაოპერაციო შემოსავლები           | 12       | 60 701           | 1 563           |
| რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულებ     | 13       | (304 556)        | (913 750)       |
| <b>საერთო მოგება</b>                     |          | <b>348 427</b>   | <b>425 116</b>  |
| საერთო და ადმინისტრაციული დანახარჯები    | 14       | (638 416)        | (488 168)       |
| არასაოპერაციო ხარჯები/შემოსავლები წმინდ. | 15       | (3 000)          | -               |
| საკურსო სხვაობის ზარალი                  | 16       | (110 877)        | (8 378)         |
| <b>მოგება დაბეგვრამდე</b>                |          | <b>(403 865)</b> | <b>(71 429)</b> |
| მოგების გადასახადის ხარჯი                |          |                  |                 |
| <b>წმინდა მოგება</b>                     |          | <b>(403 865)</b> | <b>(71 429)</b> |

**კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება**  
 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის



*მ. კოსტაშვილი*

| (ლარი)                              | საწესდებო<br>კაპიტალი | გაუნაწილებელი<br>მოგება | სულ<br>კაპიტალი |
|-------------------------------------|-----------------------|-------------------------|-----------------|
| 2019 წლის 1 იანვარი                 | -                     | (920 870)               | (920 870)       |
| წლის მოგება                         |                       | (71 429)                | (71 429)        |
| 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით | -                     | (992 299)               | (992 299)       |
| წლის მოგება                         |                       | (403 865)               | (403 865)       |
| დივიდენდის განაწილება               |                       | -                       | -               |
| 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით | -                     | (1 396 164)             | (1 396 164)     |

### 3. ძირითადი საშუალებები

| ისტორიული ღირებულება                | მანქანა-<br>დანადგარები | სულ   |
|-------------------------------------|-------------------------|-------|
| 2019 წლის 31 დეკემბერი              | 9 595                   | 9 595 |
| შეძენა                              | -                       | -     |
| გასვლა                              | -                       | -     |
| 2020 წლის 31 დეკემბერი              | 9 595                   | 9 595 |
| დაგროვილი ცვეთა                     | -                       | -     |
| 2019 წლის 31 დეკემბერი              | -                       | -     |
| წლის ცვეთის ხარჯი                   | -                       | -     |
| გასვლის შედეგად ელიმინირებული ცვეთა | -                       | -     |
| 2020 წლის 31 დეკემბერი              | -                       | -     |
| ნეტო საბალანსო ღირებულება           |                         |       |
| 2019 წლის 31 დეკემბერი              | 9 595                   | 9 595 |
| 2020 წლის 31 დეკემბერი              | 9 595                   | 9 595 |

### 5. მარაგები

| (ლარი)                 | 31 დეკემბერი<br>2020 | 31 დეკემბერი 2019 |
|------------------------|----------------------|-------------------|
| საქონელი               | 5 485 622            | 4 394 951         |
| ნედლეული და მასალები   | 234 425              | 305 979           |
| მზა პროდუქცია          | 516 581              | 380 411           |
| მცირეფასიანი ინვენტარი | 44 062               | 21 208            |
| სულ მარაგები           | 6 280 690            | 5 102 549         |
|                        | (0)                  | -                 |

### 6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

| (ლარი)                                   | 31 დეკემბერი 2020 | 31 დეკემბერი 2019 |
|------------------------------------------|-------------------|-------------------|
| მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან | 3 102 345         | 3 186 462         |
| სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები           | 3 102 345         | 3 186 462         |

### 7. ფული და ფულის ექვივალენტები

| (ლარი)                          | 31 დეკემბერი 2020 | 31 დეკემბერი 2019 |
|---------------------------------|-------------------|-------------------|
| უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში  | 613 312           | 1 190 350         |
| ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში |                   | 133 095           |
| სულ ფული და ფულის ექვივალენტები | 613 312           | 1 323 445         |



*მ. კოსტაძე*

**8. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები**

| (ლარი)                                                  | 31 დეკემბერი 2020 | 31 დეკემბერი 2019 |
|---------------------------------------------------------|-------------------|-------------------|
| მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები | 7 460 533         | 5 596 084         |
| საგადასახადო ვალდებულებები                              |                   |                   |
| სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები                       | 7 460 533         | 5 596 084         |
|                                                         | (0)               | -                 |

**9. შემოსავალი**

| (ლარი)                                 | 2020    | 2019      |
|----------------------------------------|---------|-----------|
| ამონაგები სამშენებლო ხელშეკრულებებიდან | 592 283 | 1 337 304 |
| ამონაგები მომსახურებიდან               | -       | -         |
| სულ შემოსავალი                         | 592 283 | 1 337 304 |
|                                        | -       | -         |

**10. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება**

| (ლარი)                                    | 2020    | 2019    |
|-------------------------------------------|---------|---------|
| რეალიზებული საქონლის თვითღირებულება       | 304 556 | 913 750 |
| სულ რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება | 304 556 | 913 750 |
|                                           | -       | -       |

**11. საერთო და ადმინისტრაციული დანახარჯები**

| (ლარი)                               | 2020    | 2019    |
|--------------------------------------|---------|---------|
| შრომის ანაზღაურება                   | 122 674 | 88 088  |
| იურიდიული ხარჯები                    | 650     | -       |
| საკონსულტაციო მომსახურება            | 3 946   | -       |
| საპროცენტო ხარჯი                     | 494 529 | 390 777 |
| კომუნალური ხარჯები                   | 6 988   | -       |
| სხვა                                 | 9 629   | 9 303   |
| სულ საერთო ადმინისტრაციული დანახარჯი | 638 416 | 488 168 |
|                                      | -       | -       |



მ. ციხიშვილი

შპს „კედია 10“

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

| ათასი ქართული ლარი                        | შენიშვნა | საწესდებო<br>კაპიტალი | დაგროვილი<br>ზარალი | სულ      |
|-------------------------------------------|----------|-----------------------|---------------------|----------|
| ნაშთი 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით    |          | 1 333 764             | -992 299            | 341 465  |
| წლის მოგება                               |          |                       |                     |          |
| სულ წლის სრული შემოსავალი                 |          |                       | -403 865            |          |
| საწესდებო კაპიტალის ზრდა                  |          | -326 313              |                     |          |
| ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით |          | 1 007 451             | -1 396 164          | -388 713 |

შენიშვნა: მარაგები

სასაქონლო მატერიალური მარაგი

სასაქონლო მატერიალური მარაგი მოიცავს სამშენებლო ობიექტი „კედია 10“-ის, „ა“, „ბ“ და მე-4 ბლოკის გასაყიდი ბინების თვითღირებულებას, ასევე სამშენებლო ნედლეულის და მასალების თვითღირებულებას.

შენიშვნა: მოთხოვნები მოწოდებიდან და მომსახურებიდან  
მოთხოვნები

მოთხოვნები მოიცავს შპს „აქსისთან“ და შპს „აქსის დეველოპმენტთან“ წინარე ნასყიდობების გაუქმებასთან დაკავშირებულ მოთხოვნებს, ასევე მომწოდებლებთან ავანსად გადახდილ თანხებს

შენიშვნა: საგადასახადო აქტივი  
საგადასახადო აქტივი

კომპანიას გააჩნია საღირებულო საგადასახადო აქტივი სახელწიფო ბიუჯეტში.

შენიშვნა: საკუთარი კაპიტალი  
საწესდებო კაპიტალი

კომპანიის დამფუძნებლები არიან:



*Handwritten signature in blue ink.*

ფ/პ თეიმურაზ ჭოხონელიძე - 40%,

შპს „საირმე პალასი“ 30%

შპს „ჭავჭავაძის 49“ 30%.

საწესდებო კაპიტალი 2020 წლის 31 მდგომარეობით შეადგენს:

შპს „ჭავჭავაძის 49“ - 138 584 ლარი

შპს „საირმე პალასი“ - 868 867 ლარი

შენიშვნა: სესხი

კომპანიას აქვს სს „თიბისი“ ბანკთან სასესხო დავალიანება (ორი სესხის ფარგლებში)

შენიშვნა: მოკლევადიანი ვალდებულებები

მოკლევადიან ვალდებულებებია ფიზიკური პირებისგან წინარე ნასყიდობებით შეძენილი ფართების შედეგად მიღებული ავანსები.

## 1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „კედია 10“ შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიაა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში (რეგისტრაციის თარიღი: 09/12/2014). კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ად. მიცკევიჩის ქ., №18, ბ. №53. მისი ძირითადი საქმიანობაა საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების მშენებლობა.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „კედია 10“-ს (ს/კ 405074672) მიერ წარმოდგენილი 2019 სამეურნეო წლის ფინანსური ანგარიშგება (შემდგომში - „ანგარიშგება“)



*მ. ციხიშვილი*

მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (შემდგომში - "მსს ფასს-ები") შესაბამისად. ანგარიშგებაში აღწერილია საანგარიშგებო პერიოდში 2019 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით საზოგადოებაში მომხდარი ყველა სამეურნეო ოპერაციისა და მოვლენის ფინანსური შედეგები, რომლებიც დაჯგუფებულია მათი ეკონომიკური მახასიათებლების მიხედვით. შენიშვნებში მოცემულია განმარტებები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახულ თანხებთან დაკავშირებით დამატებითი ინფორმაცია. აქ თავმოყრილია ინფორმაცია, რომელიც მოითხოვება მსს ფასს-ებით, აგრეთვე ის ინფორმაცია, რომელიც აუცილებელია საწარმოს შესახებ ინფორმაციის სამართლიანი წარდგენისთვის ნორმატიული აქტებით დადგენილი წესების მიხედვით.

## 2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

### მომზადების საფუძველები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ეროვნულ ფულად ერთეულებში (ლარი).

### სააღრიცხვო პოლიტიკა

#### ზოგადი

ანგარიშგების მომზადებისას სრული შემოსავლის ანგარიშგება დგება ხარჯების კლასიფიკაციით ფუნქციური დანიშნულების მიხედვით. საანგარიშგებო წელი ემთხვევა კალენდარულ წელს. შემოსავლებისა და ხარჯების (სამეურნეო ოპერაციების) აღიარება-ასახვა, მსს ფასს-ების შესაბამისად, ხდება ბუღალტრული აღრიცხვის დარიცხვის მეთოდით, ანუ მათი მოხდენისთანავე (და არა ფულადი სახსრებისა და მისი ეკვივალენტების მიღებისა და გადახდის დროს). ამასთან, ხარჯების აღიარებისას დაცულია მიმდინარე პერიოდის ამონაგებსა და დანახარჯებს შორის შესაბამისობის პრინციპი, ანუ მათი გატარება სათანადო ბუღალტრულ დოკუმენტებში და ასახვა ანგარიშგებაში ხდება შესაბამისი პერიოდებისათვის მიკუთვნებით. საანგარიშგებო წელი (საანგარიშო პერიოდი) ემთხვევა კალენდარულ წელს.



*მ. ციხიშვილი*

## წარდგენის ვალუტა

საწარმოს მოქმედი ვალუტა არის ეროვნული ვალუტა „ლარი“, რომელიც ასახავს ძირითად მოვლენებისა და მათთან დაკავშირებული შესაბამისი გარემოებების ეკონომიკურ არსს. მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის წარდგენის ვალუტად კომპანია იყენებს ეროვნულ ვალუტას - ლარს.

## უცხოური ვალუტა

ფინანსური ოპერაციები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება ეროვნულ ვალუტაში ტრანზაქციის განხორციელების თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. საანგარიშო თარიღში უცხოურ ვალუტაში დაფიქსირებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების გადაფასება ხორციელდება ამ თარიღისათვის არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. გადაფასებით წარმოქმნილი საკურსო სხვაობები აღიარდება სრული შემოსავლების ანგარიშგებაში.

## ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, რომელიც შემცირებულია ყველანაირი სავაჭრო და ვადაზე ადრე გადახდაზე დამოკიდებული ფასდათმობებითა და საქართველოს მთავრობის სახელით ამოღებული, რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

## სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

### ბანკის სესხები და ოვერდრაფტები

სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეული იქნა.

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.



*Handwritten signature in blue ink.*

## მოგების გადასახადი

მიუხედავად იმისა, რომ მოგების გადახდის სამართლებრივი ვალდებულება წარმოიქმნება მხოლოდ დივიდენდის გადახდის შემდეგ, ვალდებულების აღიარება ხდება დივიდენდის გამოცხადების თარიღისთვის, თუ მაღალია ალბათობა, რომ გადაწყვეტილება დივიდენდის გამოცხადებაზე არ გაუქმდება.

მოგების გადასახადის ხარჯი გამორიცხავს მოგების გადასახადს დასაბეგრ ხარჯებზე, რადგან აღნიშნული არ ეფუძნება მოგების გადასახადის ცნებას (ის აღიარდება, როგორც საოპერაციო ხარჯი მოგებაში ან ზარალში)

## მარაგები

მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. მარაგების თვითღირებულება განისაზღვრება „პირველი შემოსვლა - პირველი გასვლა“ მეთოდის საფუძველზე. მზა პროდუქციის და დაუმთავრებელი წარმოების თვითღირებულება მოიცავს ნედლეულს და მასალებს, პირდაპირ შრომით დანახარჯებს, სხვა პირდაპირ დანახარჯებს და დაკავშირებულ საწარმოო ზედნადებ ხარჯებს (ჩვეულებრივი საწარმოო წარმადობის საფუძველზე), მაგრამ არ მოიცავს სესხით სარგებლობასთან დაკავშირებულ დანახარჯებს. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის შეფასებული გასაყიდი ფასი ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში, შემცირებული დასრულების შეფასებული დანახარჯებით და გაყიდვის ხარჯებით.

## სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

საწარმო გაყიდვებს ახორციელებს უნაღდო ანგარიშსწორებით. კომპანიას აქვს მოთხოვნები შ.პ.ს. აქსისთან“ და შ.პ.ს. „აქსის დეველოპმენტთან“, ამ ორგანიზაციებში წინარე ნასყიდობების ხელშეკრულებების გაუქმებასთან დაკავშირებით.

## სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ნორმალურ საკრედიტო პირობებში განხორციელებული ოპერაციების დროს წარმოშობილ ვალდებულებებს, რომლებიც პროცენტის მატარებელი არ არის. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული სავაჭრო



*თ. ციხიშვილი*

ვალდებულებების გადაყვანა ხდება ადგილობრივ ფულად ერთეულში საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული გასაცვლელი კურსის გამოყენებით. კურსთა შორის სხვაობიდან მიღებული მოგება ან ზარალი აღიარდება იმავე წელს სრული შემოსავლების ანგარიშგებაში. კომპანიას გააჩნია როგორც სავაჭრო ვალდებულებები, ასევე გადახდილი ავანსებიც. გადახდილი ავანსი აღირიცხება თვითღირებულებით, შემცირებული გაუფასურების ანარიცხებით. გადახდილი ავანსი კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი, როდესაც მოსალოდნელია, რომ გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურება მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ, ან როდესაც გადახდილი ავანსი დაკავშირებულია აქტივთან, რომელიც საწყისი აღიარებისას კლასიფიცირებული იქნება, როგორც გრძელვადიანი. აქტივის შესაძენად გადახდილი ავანსები გადადის ამ აქტივის საბალანსო ღირებულებაში კომპანიის მიერ აქტივზე კონტროლის მოპოვების შემდეგ და როდესაც მოსალოდნელია, რომ ამ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი კომპანიაში შემოვა. სხვა გადახდილი ავანსები მოგება ან ზარალში ჩამოიწერება გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღებისას. როდესაც არსებობს მინიშნება, რომ აქტივები, საქონელი ან მომსახურება, დაკავშირებული გადახდილ ავანსთან, არ იქნება მიღებული, მაშინ გადახდილი ავანსის საბალანსო ღირებულება შესაბამისად ჩამოიწერება და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აღიარდება წლის მოგებაში ან ზარალში.

#### ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების ღირებულება აქტივად აღიარდება თუ მოსალოდნელია რომ საწარმო მომავალში ამ აქტივის გამოყენებით მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია აქტივის ღირებულების საიმედოდ შეფასება. ძირითადი საშუალების ერთეული რომელიც აკმაყოფილებს აქტივის აღიარების კრიტერიუმებს ფასდება მისი თვითღირებულებით. ძირითადი საშუალებების ერთეულის თვითღირებულება განისაზღვრება აღიარების დღისათვის თანადროული გადახდისას გადასახდელი ფასის ეკვივალენტით. თუ გადახდა გადავადებულია და საკრედიტო პირობა სცილდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობების ფარგლებს, მაშინ ამ თანხასა და მთლიან გადასახდელ თანხას შორის სხვაობა აღიარებული იქნება როგორც საპროცენტო ხარჯი კრედიტის ვადის განმავლობაში, ან მოხდება მისი კაპიტალიზაცია თუ გადავადებული გადახდა უკავშირდება განსაკუთრებულ აქტივს. ძირითადი საშუალების ყოველ ერთეულს ცვეთა ერიცხება ცალ-ცალკე. ყოველი პერიოდის ცვეთის ხარჯი აღიარდება მოგებაში ან ზარალში. აქტივის ცვეთადი ღირებულება ნაწილდება.



*მ. ციხიშვილი*

სისტემატურ საფუძველზე, მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში შემცირებადი ნაშთის მეთოდის გამოყენებით. აქტივზე ცვეთის დარიცხვა მაშინ იწყება, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც აქტივი არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში, რაც აუცილებელია აქტივის გამოსაყენებლად, ხელმძღვანელობის მიერ დასახული ამოცანების მიზნებისათვის. ძირითადი საშუალებების ცვეთის გაანგარიშების მიზნით გამოყენებულია შემცირებადი ნაშთის მეთოდი.

**მნიშვნელოვანი სააღრიცხვო განსჯა და განსუაზღვრელობის შეფასების ძირითადი წყაროები**

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას დირექტორს მოეთხოვება განსჯის, შეფასებებისა და დაშვებების გამოყენება იმ აქტივებისა და ვალდებულებების მიმართ, რომელთა ღირებულება გარკვევით ვერ მიიღება სხვა წყაროებიდან. შეფასებები და დაკავშირებული დაშვებები ემყარება წარსულ გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, რომლებიც მიიჩნევა, რომ შესაფერისია. ფაქტობრივი შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს აღნიშნული შეფასებებისგან. აღნიშნული შეფასებებისა და საბაზისო დაშვებების შესწორება მუდმივად ხდება. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც შესწორდა შეფასება, თუ ცვლილება გავლენას ახდენს მხოლოდ იმ პერიოდზე ან შესწორების პერიოდსა და სამომავლო პერიოდებში, თუ ცვლილება გავლენას ახდენს როგორც მიმდინარე, ისე სამომავლო პერიოდებზე.

**ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა**

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა ხელმძღვანელობის განსჯის საკითხია, მსგავს აქტივებთან დაკავშირებული მათი გამოცდილების საფუძველზე. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას ხელმძღვანელობა ითვალისწინებს მოსალოდნელ მოხმარებას, ტექნიკური მოძველების შეფასებას, ფიზიკურ ცვეთასა და იმ ფიზიკურ გარემოს, სადაც იყენებენ ამ აქტივს. ამ გარემოებების ან შეფასებების ცვლილებამ შეიძლება განაპირობოს სამომავლო ცვეთის განაკვეთების შესწორება.

**ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება**

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და მისი გამოცემის ნებართვა გაცემულია 2021 წლის 01 ოქტომბერს.



*Handwritten signature in blue ink.*